ქულები თანაბრად გაიყვეს

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 25 ოქტომბერი.

“დინამო” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) _ 1:1 (0:0).

მოსკოვი: პოლგუი, ბასალაევი, საბო, დოლბონოსოვი, ნიკულინი, ჟუკოვი, იაკუბიკი (ეშტრეკოვი), მახოვიკოვი, ბაიდაჩნი, კოზლოვი, ევრიუჟიხინი.

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ხურცილავა, პეტრიაშვილი, ებრალიძე, გავაშელი, ასათიანი, მ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მსაჯი: ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

დუბლიორები _ 3:1 მოსკოველთა სასარგებლოდ.

მოსკოვისა და თბილისის დინამოელები, როგორც მათს ძველ სპორტულ მეტოქეობას შეეფერება, ახლო მეზობლები არიან გათამაშების ცხრილში. ამასთან, ორივე გუნდს საპრიზო ადგილის დაკავების პრეტენზია აქვს. ცხადია, ასეთ ვითარებაში მათს მატჩს საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ბრძოლა მართლაც დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მაღალი ტემპი, სწრაფი კომბინაციები და საგოლე მომენტები ორივე კართან მთელი მატჩის მანძილზე არ შემწყდარა.

თამაშის დასაწყისში პოლგუის ძნელი ბურთის აღება მოუხდა ძოძუაშვილისგან. პირველი 10 წუთის განმავლობაში თანაბარი ორმხრივი ბრძოლის შემდეგ უპირატესობა მოსკოველებმა მოიპოვეს და საკმაო ხანს სტუმრების დაცვას სრული დატვირთვით უხდებოდა თამაში. ამას გარდა, რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო გოგიამ.

შუა ტაიმში თბილისელებმა ტემპს უმატეს და თამაში გაათანაბრეს, ზედიზედ შეასრულა გარღვევები გუცაევმა, აქტიურობდა ნოდიაც.

ტაიმის დასასრულს ხურცილავამ თავით მოიგერია ევრიუჟიხინის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი და იძულებული იყო მინდორი დაეტოვებინა. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, თბილისელთა კაპიტანი ერთობ მძიმე მდგომარეობაში იყო, მაგრამ მეორე ტაიმში მაინც გამოვიდა მინდორზე და სრული ძალით იბრძოდა თავისი კოლექტივის ინტერესებისთვის.

შესვენების შემდეგ მასპინძლები კვლავ დაეუფლნენ ინიციატივას. მათი ერთ-ერთი შეტევისას, 68-ე წუთზე, კოზლოვმა კარგად შეარჩია მომენტი, პირისპირ გავიდა გოგიასთან და ანგარიში გახსნა.

თბილისელები ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. მოსკოველთა კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, ხშირად უხდებოდა თამაშში ჩაბმა პილგუის, კრიტიკულ მომენტებში რამდენიმეჯერ აშკარად უხეშად ითამაშა საბომ.

82-ე წუთზე თბილისელთა მორიგი იერიშისას მასპინძელთა კართან კვლავ შეიქმნა სახიფათო ვითარება. ნოდიამ შეძლო თავი დაეღწია მცველებისთვის, მეკარეც მოატყუა და გაიტანა საპასუხო გოლი, რომელმაც მისი გუნდი წაგებას გადაარჩინა.

ვ. პავლოვი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 28 ოქტომბერი, 1972 წ.